ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრი ზურაბ ბარძიმაძე

არჩევის წესი-მაჟორიტარული აწყურის ადმინისტრაციული ერთეული

საანგარიშო პერიოდი 30.10.2025-01.10.2026 წელი.

თანამდებობა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

ამავდროულად ვარ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 17 საკრებულოს სხდომიდან დასწრებული ვარ 17 სხდომას. (2 სხდომა საპატიო) მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარებული 8 სხდომიდან დასწრებული ვარ 8 სხდომას,ხოლო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ჩატარებული 9 სხდომიდან დასწრებული ვარ კომისიი 8 სხდომას. (1 სხდომა საპატიო) საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხებია:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება.
2. სამანდატო დროებითი კომისიის შექმნის მხარდაჭერა.
3. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის დამტკიცება.
4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.

5. 2025 წლის მოწვევის ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა.
6. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
7. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ცვლილებების შეტანა.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემარუ‍რად, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე გასვლით შეხვედრებზეც. მოსახლეობის მხრიდან ძირითადად ხდება სოციალური და ინფრასტუქტურული საკითხების დასახელება. კერძოდ:

1. სოფ აწყურის, თისელის და ტყემლანის შიდა გზების მოწესრიგება.
2. სოფ აწყურში, თისელსა და ტყემლანაშიგარე-განათების ახალი წერტილების მოწყობა.
3. სოფ აწყურის, ტყემლანის და თისელის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება.
4. სარწყავი წყლის პრობლემის მოგვარება.

მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემებიდან მოგვარებულია სოფ.თისელში გადასასვლელი ხიდ-ბოგირი, ნაწილობრივ მოგვარებულია შიდა გზების მოწყობა, გარე განათების მოწყობა, ხოლო დანარჩენი საკითხების მოგვარების მიზნით მერიის შესაბამის თანამდებობის პირებთან მაქვს სისტემატური კონსულტაცია.

ზურაბ ბარძიმაძე

წარდგენის თარიღი 30.10.2025